ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი – ქ. თბილისის ------ რაიონული პროკურატურა
მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.06.2014
მომართვის რეგისტრაციის ნომერი: 044/14
მომართვა შემოტანილია: ადვოკატ ნ. ს–ის მიმართ /სიითი №/
მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ს–ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. თბილისის ----- რაიონულმა პროკურატურამ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ს–ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით ქ. თბილისის ----- სამმართველოს დეტექტივების განყოფილების წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე გ. შ–ს მიმართ. ბრალდებულის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ნ. ს. პროკურატურას სურდა საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მხარეებს შორის მომხდარიყო მტკიცებულებათა გაცვლა, სწორედ ამ მიზნით პროკურორი დაუკავშირდა ადვოკატ ნ. ს–ს და შესთავაზა, რომ მტკიცებულებათა გაცვლის მიზნით მისულიყო პროკურატურაში, რაზეც ადვოკატმა უხეშად, აგრესიული ტონით განაცხადა, რომ იყო დაკავებული და ამ საქმისთვის არ ეცალა მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში.

1.3 ბრალდების მხარემ შესთავაზა ადვოკატს, რომ გამომძიებელი თავად მივიდოდა მასთან სამუშაო ოფისში და გადასცემდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რაზეც მან აგრესიული ტონით უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მას ამ კონკრეტულ საქმეზე ფიქრი არ შეეძლო, ვერც ვერაფერს ჩაიბარებდა და ვერც ხელს მოაწერდა გაცვლის ოქმს. ამის შემდეგ შეთავაზებაზე, რომ შესაძლო მტკიცებულებებს ჩააბარებდნენ ბრალდებულს, ადვოკატმა პროკურორს უპასუხა, რომ მისი

დაცვის ქვეშ მყოფი ადვოკატის თანხმობის გარეშე არაფერს ჩაიბარებდა და ის თავად გამოცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში 2014 წლის 12 მაისს მასალების ჩასაბარებლად.

1.4 2014 წლის 07 მაისს გამომძიებელი კვლავ დაუკავშირდა ადვოკატს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა დაუდასტურა, რომ 2014 წლის 12 მაისს ნამდვილად მივიდოდა მასთან მასალების ჩასაბარებლად. ადვოკატი შეთანხმებულ დროს არ გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში და მოუცლელობის მოტივით უარი განაცხადა მასალების ჩაბარებაზე. ადვოკატის თხოვნით გამომძიებელი და ადვოკატი შეთანხმდნენ, რომ მტკიცებულებებს გაცვლიდნენ 2014 წლის 13 მაისს, მაგრამ ადვოკატმა სატელეფონო გასაუბრების დროს ისევ უარი განაცხადა მასალების ჩაბარებაზე მოუცლელობის გამო.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის მე–4 ნაწილის დარღვევას, რომლის მიხედვითაც „ადვოკატი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილზე.“ მისი განცხადებით შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლა საპროცესო მოქმედებაა და ბრალდების მხარე თავად წყვეტს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე რამდენი დღით ადრე განახორციელებს აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ს არის არაკომპეტენტური პირი, რომლისთვისაც არ არის ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, ის არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და სრულიად უპასუხისმგებლოდ უდგება საქმეს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ნ. ს–ის 2014 წლის 10 ივლისის წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, პროკურორის ბრალდებები აბსოლუტურად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ის ყოველთვის იცავს კლიენტის ინტერესებს და მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან გამომძიებელს განუცხადა, რომ 5 დღით ადრე, კანონით დადგენილ ვადაში ჩაიბარებდა მტკიცებულებებს ნუსხასთან ერთად თავისი კლიენტის თანდასწრებით გლდანის №8 დაწესებულებაში და მან გამომძიებლისგან ჩაიბარა მტკიცებულებები გლდანის №8 დაწესებულებაში. მტკიცებულებების მიღების ფაქტი დადასტურდა ხელმოწერით. აღნიშნულ პროცესს ესწრებოდა თავად ბრალდებულიც. თბილისის საქალაქო სასამართლოში, წინასასამართლო სხდომაზეც მხარეებმა დაადასტურეს, რომ ჩაბარებულია მტკიცებულებები და ამასთან დაკავშირებით პროკურორს არ ჰქონია არავითარი პრეტენზია.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი საპროცესო ვადების დარღვევას და ის მოქმედებს ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ხოლო პროკურორი ხელოვნურად ცდილობდა პროცესის დაჩქარებას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, პროკურორ ე. ჩ–ს გაცნობიერებული არ აქვს, რომ ადვოკატი და პროკურორი იერარქიულად დაქვემდებარებული პირები არ არიან და ადვოკატი არის დამოუკიდებელი პროფესიის მქონე პირი. შესაბამისად ადვოკატი არ არის ვალდებული

პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე გამოცხადდეს პროკურატურის ორგანოში მტკიცებულებათა გაცვლის მიზნით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ს არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის.

3.2 ქალაქ თბილისის ----- რაიონულმა პროკურატურამ ეთიკის კომისიას მომართა 2014 წლის 27 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ს–ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სართლებრივი შეფასება:

5.1 მომართვის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ნ. ს ხელოვნურად ქმნიდა ბარიერებს, ართულებდა კომუნიკაციას, რათა არ მომხდარიყო შესაძლო მტკიცებულებათა დროული გაცვლა; ადვოკატი ბრალდების მხარესთან რამდენჯერმე შეთანხმების მიუხედავად არ ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში მოუცლელობის გამო; ადვოკატი სატელეფონო საუბრებისას გამოირჩეოდა აგრესიული და უხეში ტონით.

5.2 საპროცესო კოლეგიამ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით იმსჯელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნტის შესაძლო დარღვევაზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ ,,საადვოკატო საქმიანობის ძირითადი პრინციპი არის კანონიერების პრინციპი.“

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა დაიცვას კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით. კლიენტის ინტერესების დაცვისთვის ნებისმიერი საშუალება გამართლებულია, თუ ის არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83–ე მუხლის მე–6 ნაწილის მიხედვით „წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5

დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ“, ხოლო ამავე მუხლის მე–7 ნაწილის მიხედვით, „მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით.“ მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე მხარეებმა შესაძლო მტკიცებულებები გაცვალეს. პროკურორისთვის თავისი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა სახეზე არ არის, შესაბამისად ამ შემთხვევაში არ იკვეთება კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა. რაც შეეხება 83-ე მუხლის მე–7 ნაწილს, ამ დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ ადვოკატი არ არის ვალდებული შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლისთვის გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში. კანონით პირდაპირ არ არის გაწერილი, რომ შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის დროს და ადგილს განსაზღვრავდეს პროკურორი. აღნიშნული საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ წინასასამართლო სხდომამდე შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლის 5 დღიანი ვადა არ არის დარღვეული, აქედან გამომდინარე ამ ნაწილში საპროცესო კოლეგიას ადვოკატის ქმედება არ მიაჩნია კანონსაწინააღმდეგოდ.

5.5 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. შესაძლებელია ადვოკატის მხრიდან შესაძლო მტკიცებულებების გაცვლის გაჭიანურება ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ადვოკატის მხრიდან არ ყოფილა კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კერძოდ ადვოკატმა დაიცვა წინასასამართლო სხდომამდე შესაძლო მტკიცებულებათა გაცვლისთვის დადგენილი 5 დღიანი ვადა, პროკურატურის მხრიდან ადვოკატის სადაოდ გამხდარი ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს დაცვის ერთგვარ სტრატეგიად და მისი ლეგიტიმურობა განისაზღვრება კლიენტის მოწონებით.

5.6 საპროცესო კოლეგია დამატებით აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება რაიმე კონკრეტული შეურაცხყოფის მიყენების ან ადვოკატის მხრიდან პროკურორის მიმართ არაკორექტულად მიმართვის ფაქტი. აგრესიული ტონი და უხეშობა არის სუბიექტური განსჯის საგანი, შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე ---- რაიონული პროკურატურის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებების, კერძოდ 07.05.2014 წლის, 05.05.2014 წლის, 12.05.2014 წლის, 13.05.2014 წლის სატელეფონო გასაუბრების შესახებ ოქმების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატის მხრიდან ეთიკური ან ზნეობრივი ნორმების დარღვევა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნტით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მე-20 მუხლებით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, 32-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №044/14 ადვოკატ ნ. ს–ის მიმართ /სიითი №1531/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/